ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4565178

ნომერი: AR1690574

თარიღი : 27.06.2019

გაცემის თარიღი : 01.07.2019

გაცნობის თარიღი : 02.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცურტაველი , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯაბა ფსუტური პ/ნ 01007008431
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 42 ბ. 33

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს დ ენდ ზ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405234919
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზურაბ აბზიანიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024001371

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4535391
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 21.06.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 27 ივნისის AR1690574 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ცურტაველის ქ. N5-ში სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ, თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. ვინაიდან ხდება არსებული შენობების, საჭიროა პირველ ეტაპზე მოითხოვოთ დემონტაჟის ნებართვის გაცემა; გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სადემონტაჟო შენობის კანონიერების დამდგენი დოკუმენტი; იმ შემთხვევაში, თუ სადემონტაჟო შენობა უნებართვოა, საჭიროა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ისნპექციის სამსახურს;
2. დასაზუსტებელია კალენდარული გეგმა-გრაფიკის ეტაპები;
3. გადახდილი იქნეს მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი. განგიმარტავთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-50 დადგენილებაში, კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხ) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის - 5 (ხუთი) ლარს;
4. არ არის წარმოდგენილი კონსტრუქციული დასკვნა მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობებზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებით;
5. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოსადგენია შპს „დ ენდ ზ“-ის დირექტორის მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა;
6. წარმოდგენლი იქნეს იპოთეკარის თანხმობა, რომელიც უნდა გაიცეს იპოთეკარის წესდების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი. დამატებით ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში გეცნობებათ დამატებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge